



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის

ინსტრუქცია

დამტკიცებულია სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2013 წლის 21 ივნისის № 8 დადგენილებით

თბილისი 2013

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქცია

პერიოდულობა:

გამოკვლევის 1 რაუნდი მოიცავს 1 საწყის, 3 კვარტალურ და 1 დასკვნით გამოკითხვას.

ინსტრუმენტარი:

- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა № 08-01-04 (საწყისი გამოკვლევის კითხვარი);
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა № 08-01-02 (კვარტალური გამოკვლევის კითხვარი);
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა № 08-01-03 (დასკვნითი გამოკვლევის კითხვარი);
- არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცელი.

გამოკვლევის მიზანი და მისი ჩატარების მნიშვნელობა:

გამოკვლევის მიზანია სოფლის მეურნეობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება ქვეყნისა და რეგიონების დონეზე. გამოკვლევით ხორციელდება საქართველოში არსებული სასოფლო მეურნეობების შესახებ მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, კერძოდ:

- ა) ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, მოსავალი და მოსავლიანობა, მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი, ძირთა რაოდენობა და მოსავალი;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა;
- გ) პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება;
- დ) სასუქების, პესტიციდებისა და ნაკელის გამოყენება;
- ე) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობების გამოყენება;
- ვ) სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები;
- ზ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენება;
- თ) შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან და ამ წარმოებაზე გაწეული დანახარჯები;
- ი) ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კრედიტების შესახებ.

გამოკვლევის შედეგები (ძირითადი პროდუქტი):

გამოკვლევის შედეგად მიიღება სოფლის მეურნეობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ქვეყნის დონეზე და რეგიონების მიხედვით: ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა; მრავალწლოვანი კულტურების წარმოება; პირუტყვისა და ფრინველის სულადობა; მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება; ფურისა და ფურკამერის საშუალო წველადობა; ერთ ცხვარზე მატყლის საშუალო ნაპარსი; პირუტყვის ნამატი მთლიანად და საშუალოდ ერთ დედა პირუტყვზე; პირუტყვის და ფრინველის დაცემა. ასევე, ბოსტნეულის ცალკეული სახეობების წარმოება ქვეყნის დონეზე;

შედეგების გამოქვეყნების ვადები:

წლიური მონაცემები

ექსპრეს მონაცემები: მემცენარეობა -17 მარტი, 1 სექტემბერი.

წინასწარი შედეგები: მეცხოველეობა - 19 თებერვალი; მემცენარეობა - 15 აპრილი;

საბოლოო შედეგები: 16 ივნისი;

კვარტალური მონაცემები

წინასწარი შედეგები – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 50-ე დღე;

საბოლოო შედეგები – 16 ივნისი.

გამოკვლევის მეთოდი და შერჩევის ზომა:

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 642 000 სასოფლო მეურნეობიდან, შემთხვევითი შერჩევის გზით შეირჩევა დაახლოებით 12 000 სასოფლო მეურნეობა (შინამეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები), რომლებიც მონაწილეობენ გამოკვლევის რაუნდის განმავლობაში ხუთივე გამოკითხვაში. ყოველწლიურად ხდება შერჩეული მეურნეობების ერთი მესამედის განახლება, ხოლო განსაკუთრებით დიდი მეურნეობები გამოიკითხებიან მუდმივად.

გამოკვლევის ობიექტი:

გამოკვლევის ობიექტია **სასოფლო მეურნეობა (მოკლედ მეურნეობა)** – დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული ზომის, საკუთრებისა და სამართლებლივი ფორმის მიუხედავად, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხორციელდება მეურნის

(შინამეურნეობის შემთხვევაში შინამეურნეობის უფროსი, ხოლო საწარმოს შემთხვევაში საწარმოს დირექტორი ან უფლებამოსილი პირი) ხელმძღვანელობით, რომელიც პასუხისმგებელია სამეურნეო გადაწყვეტილებებზე და საკუთარ თავზე იღებს მეურნეობის გაძლოლასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ რისკს და დანახარჯს, ამასთან სარგებლობს სამეურნეო საქმიანობის შედეგებით.

სასოფლო მეურნეობის არსებობისათვის აუცილებელი ატრიბუტებია: მიწა (საკუთარი ან იჯარით აღებული), რომელზეც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება ან/და **პირუტყვი და ფრინველი** (საკუთარი ან იჯარით აღებული), რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად (თუ შინამეურნეობას ან საწარმოს არ გააჩნია იჯარით აღებული მიწა, პირუტყვი ან ფრინველი და ამასთან, მის საკუთრებაში არსებული მთლიანად იჯარით აქვს გაცემული, ჩაითვლება, რომ ის სასოფლო მეურნეობას არ წარმოადგენს).

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ე.წ. უმიწო მეურნეობებიც. ასეთი მეურნეობების მაგალითებია: საინკუბატორო მეურნეობები; მეურნეობები, რომლებიც ეწევიან მხოლოდ მეცხოველეობას (მაგალითად მეფუტკრეობას) საზოგადო სარგებლობის მიწაზე; მრავალსართულიან სახლში მცხოვრები შინამეურნეობა, რომელსაც პირუტყვის ან ფრინველის სადგომი აქვს საერთო ეზოში; მეურნეობა, რომელიც არ ფლობს საკუთრების ან საიჯარო უფლებას მიწაზე, მაგრამ ფლობს საკუთრების ან საიჯარო უფლებას ამ მიწაზე მდგარ ხეებზე და მათ მოსავალზე და ა.შ.

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა არ მოიცავს იმ შინამეურნეობებსა და საწარმოებს, რომლებიც ეწევიან **მხოლოდ** სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას, მეტყევეობას, ნადირობასა და თევზჭერას.

ინტერვიუერთა ცოდნის ამაღლება და შეფასება:

ახალი ინტერვიუერების შერჩევა ხორციელდება საქსტატის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს უფლებამოსილმა პირმა რეგულარულად უნდა განახორციელოს შესაბამისი სამმართველოს ფარგლებში მიმდინარე გამოკვლევის ინტერვიუერთა და კოორდინატორთა ცოდნის შეფასება მათთან უშუალოდ გასაუბრების ან/და ტესტირების ჩატარების გზით. გარდა ამისა, მან უნდა უზრუნველყოს ინტერვიუერთა ტრენინგი საჭიროების შემთხვევაში.

საველე სამუშაოები:

ახალი შერჩევის ფორმირების შემდეგ ტერიტორიული ორგანოს სამმართველოები სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოსაგან, გამოკვლევის ინსტრუმენტართან ერთად, იღებენ შერჩეული მეურნეობების სიებს მუნიციპალიტეტების მიხედვით, რომელსაც ტერიტორიული ორგანოები მიაწვდიან კოორდინატორებს. კოორდინატორმა ინტერვიუერებს უნდა გადასცეს მის სამოქმედო არეალში მოხვედრილი სასოფლო მეურნეობათა სია, რომელიც მოიცავს: თორმეტნიშნა საიდენტიფიკაციო კოდს (რომელიც მეურნეობას მიანიჭა სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველომ); ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტის დასახელებას; მეურნის სახელსა და გვარს (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან მეურნეობის დასახელებას (სხვა ტიპის სასოფლო მეურნეობის შემთხვევაში), მისამართს, ტელეფონის ნომერს და ზოგიერთ სხვა ინფორმაციას.

ოჯახური მეურნეობების გამოკითხვის მეთოდი:

- **ინტერვიუერის მიერ რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვა** ხორციელდება სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის საწყისი, კვარტალური და დასკვნითი გამოკითხვების კითხვარების გამოყენებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამოკითხვის მეთოდები:

- საწარმოს საკონტაქტო პირი, **კოორდინატორის დახმარებით**, ავსებს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის საწყისი, კვარტალური და დასკვნითი გამოკითხვების ელექტრონულ (ონლაინ) კითხვარებს.
- გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საკონტაქტო პირი ვერ ახერხებს, ან უარს ამბობს ელექტრონული კითხვარის შევსებაზე, შესაძლებელია კოორდინატორის მიერ გამოყენებული იქნას სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკითხვის კითხვარების ნაბეჭდი ვერსია. ამ შემთხვევაში კოორდინატორს შეუძლია გამოიყენოს კითხვარის შევსების შემდეგი მეთოდები:
 - საწარმოს საკონტაქტო პირის პირისპირ გამოკითხვა;
 - სატელეფონო ინტერვიუ (გამონაკლის შემთხვევებში).
- გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გარკვეული, დასაბუთებული მიზეზების გამო, ვერ ხერხდება რესპონდენტის გამოკითხვა კოორდინატორის მიერ, შესაძლებელია საწარმო გამოსაკითხად გადაეცეს ინტერვიუერს შესაბამისი რეგიონის უფროსის გადაწყვეტილებით და სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანხმობით.

რესპონდენტი (გამოკითხული პირი). ინტერვიუერი (კოორდინატორი) პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გამოიკითხოს მეურნე (საწარმოს ხელმძღვანელი), თუ ეს ვერ მოხერხდება, შესაძლებელია მისი ოჯახის ინფორმირებული წევრის (საწარმოში სხვა კომპეტენტური პირის) გამოკითხვა.

გამოკვლევის ჩატარების ეტაპები

გამოკვლევის ერთი რაუნდი ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში მოიცავს 5 გამოკითხვას:

საწყისი გამოკითხვა ტარდება **საწყისი გამოკითხვის კითხვარის** (№ 08-01-04) გამოყენებით საანგარიშო წლის 11-30 იანვარის პერიოდში. ამ გამოკითხვისას ხდება შერჩეული მეურნეობების იდენტიფიკაცია და ფიქსირდება შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობა.

I, II და III კვარტალების გამოკითხვა ტარდება **კვარტალური გამოკითხვის კითხვარის** (№ 08-01-02) გამოყენებით საანგარიშო წლის შესაბამისი კვარტალის შემდგომი თვის 1-10 რიცხვებში. ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

დასკვნითი (IV კვარტალის) გამოკითხვა ტარდება **დასკვნითი გამოკითხვის კითხვარის** (№ 08-01-03) გამოყენებით საანგარიშო წლის მომდევნო წლის იანვრის 11-20 რიცხვებში. ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია როგორც საანგარიშო წლის IV კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ისე შემაჯამებელი ინფორმაცია მთელი საანგარიშო წლის (გასული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

ინტერვიუერთა და კოორდინატორთა ფუნქციები, მოვალეობები და ქცევის ზოგადი წესები:

- **კოორდინატორი**

თითოეულ კოორდინატორს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ევალება:

- ა) სამუშაოს შესრულებისას იხელმძღვანელოს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქციით: „სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქცია 2013წ.“;

- ბ) ყოველი ახალი რაუნდისა და გამოკვლევის დაწყების წინ უზრუნველყოს, მის დაქვემდებარებაში მყოფი ინტერვიუერებისათვის, შერჩეული მეურნეობების სიისა და შესაბამისი გამოკვლევის ინსტრუმენტარის გადანაწილება და მიწოდება;
- გ) უზრუნველყოს საველე სამუშაოების ჩატარება და ვადების დაცვა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შესასრულებელი სამუშაოების ხელახალი გადანაწილება ინტერვიუერებისათვის და აუცილებლობის შემთხვევაში უშუალოდ ჩაერთოს საველე სამუშაოებში. მოახდინოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს უფროსის ინფორმირება მიმდინარე და პრობლემატურ საკითხებზე;
- დ) ინტერვიუერებისაგან მიიღოს შევსებული კითხვარები და არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცლები. მათთან ერთად განახორციელოს კითხვარების პირველადი ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი. შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში, დაადგინოს რეალური მონაცემები (რესპონდენტთან სატელეფონო კავშირით ან მასთან ინტერვიუერის ხელახალი ვიზიტით), კითხვარში მოახდინოს მონაცემ(ებ)ის კორექტირება (ჩამატება/წაშლა/შესწორება) და იქვე გააკეთოს კომენტარი ცვლილებების შეტანის მიზეზებზე. კითხვარის საბოლოო გადამოწმება და სისწორე დაადასტუროს ხელმოწერით. კითხვარის პირველ გვერდზე დააფიქსიროს საკუთარი გვარი, სახელი და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მისდამი მინიჭებული ინდივიდუალური კოდი. კითხვარები გადანომროს და დაალაგოს თანმიმდევრულად ინტერვიუერების მიხედვით.
- ე) მოახდინოს გადამოწმებული კითხვარების კომპიუტერული დამუშავება: მონაცემების ბაზაში შეტანა, ლოგიკური კონტროლი, რედაქტირება და გადაგზავნა;
- ვ) შევსებული კითხვარები და არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცლები მიაწოდოს საქსტატის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;
- ზ) საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი ინტერვიუერებს;
- თ) მოახდინოს მის სამოქმედო ტერიტორიაზე გამოსაკითხი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტერვიუება, მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერა და რედაქტირება.

- **ინტერვიუერი**

ინტერვიუერი ვალდებულია:

- სამუშაოს შესრულებისას იხელმძღვანელოს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქციით: „სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინსტრუქცია 2013 წ.“;

- დროულად მიაწოდოს კოორდინატორს მის მიერ შევსებული კითხვარები და არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცლები;
- მოახდინოს შესაბამისი რეაგირება მისთვის დავალებულ ყველა მეურნეობაზე;
- მეურნეობაში მისვლისას თავაზიანად წარადგინოს საკუთარი თავი და აუხსნას მისვლის მიზეზი;
- საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტს აუხსნას გამოკვლევაში მისი მონაწილეობის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში;
- ყველა კითხვარის თავფურცელი და არასრული კითხვარების სარეგისტრაციო ფურცელი შეავსოს საწერი კალმით, მოაწეროს ხელი და გარკვევით ჩაწეროს მეურნეობის თორმეტნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი შესაბამის უჯრებში;
- გამოკვლევის კითხვარები შეავსოს გრაფიტის ფანქრით;
- საჭიროების შემთხვევაში (თუ რომელიმე ცხრილში სტრიქონების რაოდენობა საკმარისი არ არის) ინტერვიუერმა კითხვარებში უნდა ჩადოს დამატებითი ფურცელი და ზუსტად მიუთითოს ცხრილის დასახელება;
- გამოკითხვისას ლოგიკურად გააკონტროლოს რესპონდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და დააზუსტოს თუ მონაცემი მოეჩვენება საეჭვოდ;
- საჭიროების შემთხვევაში კოორდინატორის მითითებით ხელმეორედ ჩაატაროს ინტერვიუ;
- ინსტრუქციის დანართებიდან "კოდები"-ს გამოყენებისას ისარგებლოს მაქსიმალურად დეტალიზებული კოდებით და არა ჯგუფისა და ქვეჯგუფის აღმნიშვნელი კოდებით;
- დაიტოვოს არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცლების ასლები, ხოლო პირველი პირები (დედნები) გადასცეს კოორდინატორს;
- გააკეთოს მკაფიო, გასაგები და ადვილად აღქმადი ჩანაწერები;
- კითხვებზე პასუხი ჩაწეროს შესაბამის უჯრაში გრაფიკული აღნიშვნის – ჯვრის (X) დასმით, ან შესაბამის ადგილას ციფრების ან სიტყვების ჩაწერით;
- არ შეავსოს გამუქებული უჯრები;
- ყოველი კითხვა დასვას ზუსტად ისე, როგორც კითხვარშია მოცემული;
- თუ პასუხი არასწორად იქნა ჩაწერილი, ამომალოს საშლელით და შეცვალოს სწორი პასუხით;
- დაიცვას კითხვარში მითითებული მათემატიკური თანაფარდობები;
- უჯრაში ჩაწეროს „0“ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში (ინსტრუქციის შესაბამისად);

- გაეცნოს თავისი სამოქმედო არეალის სოფლის მეურნეობის ზოგად ეკონომიკურ პარამეტრებს: საშუალო მოსავლიანობა, საშუალო წველადობა, კვერცხმდებლობა და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს რესპოდენტს გაანგარიშებებში.

დაუშვებელია:

- ოჯახური მეურნეობების (შინამეურნეობების) ინტერვიუება რესპოდენტის პირისპირ გამოკითხვის გარეშე (ტელეფონით ან სხვა საშუალებით)*;
- კითხვარის ფალსიფიკაცია*;
- 15 წლამდე ასაკის ოჯახის წევრის გამოკითხვა;
- საკუთარი ინიციატივით რომელიმე მეურნეობაში არ მისვლა და რეაგირების გარეშე დატოვება;
- შერჩეული მეურნეობის თვითნებურად ჩანაცვლება სხვა მეურნეობით.

** პუნქტების დარღვევა იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.*

რეგიონული ზედამხედველობა:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანოების სამმართველოს უფროსები.

თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ევალება:

ა) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ფარგლებში სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა, სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულება, თანამშრომელთა შორის ფუნქცია-მოვალეობების დელეგირება და დაქვემდებარებული მუშაკების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების კონტროლი;

ბ) გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველყოფა:

- საველე პერსონალის შერჩევა, კანდიდატურებისა და მათი პირადი დოკუმენტაციის წარდგენა საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოსათვის;
- საველე პერსონალისათვის (ინტერვიუერები და კოორდინატორები) ტრენინგის ორგანიზება/ჩატარება;
- საქსტატის ცენტრალური ოფისისგან გამოკვლევის ინსტრუმენტარის მიღება და საველე პერსონალისათვის შერჩეული მეურნეობების სიისა და შესაბამისი ინსტრუმენტარის გადანაწილება;

გ) გამოკვლევის საველე სამუშაოების ოპტიმალურად წარმართვის უზრუნველყოფა:

- რეგიონ(ებ)ის ტერიტორიაზე საველე სამუშაოების ჩატარება და ვადების დაცვა;
 - საველე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოების კონტროლი და შესაბამისი რეაგირება;
 - ცალკეული ინტერვიუერის მიერ შევსებული კითხვარების სრულყოფილად შევსების გადამოწმება და შერჩევითი კონტროლი;
- დ) საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ კვლევის შემდგომი პროცესების უზრუნველყოფა:
- შევსებული კითხვარების მიწოდება საქსტატის ცენტრალური აპარატისათვის;
 - შტატგარეშე თანამშრომელთა სამუშაოს შესრულების ფინანსური დოკუმენტაციის დადასტურება და წარდგენა (დადგენილი ფორმატით);
 - საველე სამუშაოების შესახებ ანგარიშის მომზადება და საქსტატის ცენტრალური აპარატის შესაბამისი დარგობრივი სამმართველოსათვის წარდგენა;
 - ინტერვიუერთა მიერ შევსებული კითხვარების და არასრული ინტერვიუების სარეგისტრაციო ფურცლების რაოდენობრივი შედარება ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან.

კოორდინაცია სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს მიერ.

თითოეულ თანამშრომელს თავის საკურატორო არეალში ევალება:

- ა) საველე სამუშაოების კოორდინატორებისათვის და ინტერვიუერებისათვის ტრენინგის ჩატარება;
- ბ) გამოკვლევის ორგანიზება: ინსტრუმენტარის დაკომპლექტება რეგიონების მიხედვით, შევსებული კითხვარების მიღება, ინტერვიუერებისა და კოორდინატორების მუშაობის ზედამხედველობა;
- გ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური და ტექნიკური ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თავისი საკურატორო არეალის ტერიტორიული ორგანოს სამმართველოს უფროსისათვის.

შესრულებული სამუშაოს წარდგენა სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოში:

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს რეგიონული სამმართველოებისგან გადაეცემა საველე სამუშაოებთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიში და შევსებული კითხვარები.

წარმოდგენილი შევსებული კითხვარების მიღებას, აღრიცხვას, აგრეთვე მისი ხარისხის ზოგად კონტროლს და სავსე სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვას განახორციელებენ საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლები.

შევსებული კითხვარების წარმოდგენისას სამმართველოს თანამშრომელსა და რეგიონალური სამსახურის წარმომადგენელს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც ფიქსირდება წარმოდგენილი კითხვარების რაოდენობა.

მონაცემთა გაწმენდა

მონაცემთა ბაზის საბოლოო გაწმენდა და ჰარმონიზაცია ხორციელდება საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ. სპეციალურად შექმნილი პროგრამა ავლენს იმ კითხვარებს, რომლებშიც ლოგიკური და არითმეტიკული შეუსაბამობებია, აგრეთვე თვით ამ შეუსაბამობებს. გარდა ამისა, მათი გამოვლენა ხორციელდება მექანიკურადაც. სამმართველოს თანამშრომლები კითხვართან შედარების, ან ინტერვიუებთან და რესპონდენტებთან ტელეფონით გადამოწმების გზით ასწორებენ შეცდომებს. იმ შემთხვევაში, თუ გადამოწმება ვერ ხერხდება, გასწორება წარმოებს ლოგიკურად. შედეგად მიიღება მონაცემთა ბაზა, რომელიც თავისუფალია თითოეული კითხვარის შიგნით შეუსაბამობებისაგან. ამის შემდეგ იწყება მონაცემთა ბაზის, როგორც მთლიანის, გაწმენდა. ხდება ამოვარდნილი, არატიპური და საეჭვო მონაცემების გამოვლენა, მათი გადამოწმება და გასწორება. აგრეთვე ხდება კონკრეტული გამოკითხვის მონაცემების თავსებადობის შემოწმება ამავე რაუნდის სხვა გამოკითხვების მონაცემებთან. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასკვნით (IV კვარტალის) გამოკითხვას, რომელიც საშუალებას იძლევა გადამოწმდეს და ჰარმონიზაციაში მოვიდეს ყველა წინა გამოკითხვის შედეგები.

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და შეწონვის დასრულების შემდეგ ხდება გამომავალი ცხრილების ფორმირება, რასაც უზრუნველყოფენ საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლები. მიღებული შედეგების შედარება ხორციელდება წინა კვარტალების და გასული წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამის შედეგებთან. მნიშვნელოვანი გადახრების არსებობის შემთხვევაში ხდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ანალიზი. მხოლოდ ამის შემდეგ ითვლება მონაცემები

გამოსაქვეყნებლად მზად. საბოლოოდ მუშავდება ყოველწლიური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, რომელიც ელექტრონული სახით ქვეყნდება საქსტატის ვებგვერდზე დადგენილი წესის შესაბამისად. წინასწარი მონაცემები ქვეყნდება ქვეყნის დონეზე, ხოლო საბოლოო მონაცემები რეგიონულ ჭრილშიც. შერჩევის არასაკმარისი ზომა არ იძლევა საშუალებას მიღებული იქნეს საიმედო მაჩვენებლები ყველა რეგიონისათვის. აღნიშნული რეგიონებისათვის შესაბამისი მაჩვენებლები ქვეყნდება აგრეგირებული სახით.

ღონისძიებები გამოუპასუხებლობასთან დაკავშირებით:

გამოუპასუხებლობის შემთხვევაში (სტატუსები: “რესპონდენტი ვერ მოიძებნა”, “ინფორმაციის მოცემაზე უარი განაცხადა”), შესაბამისი რეგიონის უფროსმა უშუალოდ უნდა გადაამოწმოს ცალკეული შემთხვევები და პირადად გაატაროს სათანადო ღონისძიებები გამოუპასუხებლობის შემცირების მიზნით, რომლის შემდეგაც უნდა წარმოადგინოს ახსნა-განმარტებები ცალკეულ გამოუპასუხებელ ინტერვიუსთან დაკავშირებით. ასევე, უნდა გადაამოწმდეს სტატუსები: „გაურკვეველია“ და „არ არსებობს“, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტატუსის შეცდომით მინიჭება.